დანართი No. 3

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
6.03.2026-29.03.2026

დასკვნის წარდგენის თარიღი
29.04.2026

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზამირა ჰისენი დურაკუ, პრიშტინის უნივერსიტეტი, კოსოვო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლია სანიკიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მხეიძე, სტუდენტი ექსპერტი, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	კლინიკური ნეიროფსიქოლოგია
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Clinical Neuropsychology
უმაღლესი განათლების საფეხური / პროგრამა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მეცნიერების მაგისტრი კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში -
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313.2.3. კლინიკური ნეიროფსიქოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

[2]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ - ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3]მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და მისი მიზანია კვალიფიციური კლინიკური ნეიროფსიქოლოგების მომზადება. პროგრამა არის უნივერსიტეტში ადრე მოქმედი პროგრამის მოდიფიცრებული და განახლებული ვერსია, რომელიც გადაიხედა პროფესიული და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად და წარდგენილ იქნა სააკრედიტაციოდ ახალი პროგრამის სტატუსით.

პროგრამა ფოკუსირებულია კოგნიტური, ქცევითი და ემოციური პროცესების შესწავლაზე როგორც ნორმალური ფუნქციონირების, ისე ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების შემთხვევებში. ის მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც დაკავშირებულია შეფასებასთან, დიაგნოსტიკასთან, ინტერვენციასთან და რეაბილიტაციასთან, ადამიანის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

პროგრამა ინტერდისციპლინურია და აერთიანებს კოგნიტური ფსიქოლოგიის, კლინიკური და ჯანდაცვის ფსიქოლოგიის, ნეირომეცნიერების, ფსიქოფიზიოლოგიის და მომიჯნავე დარგებს. პროგრამა მოიცავს მოზრდილთა და ბავშვთა ნეიროფსიქოლოგიას, ასევე, ექსპერიმენტული და კოგნიტური ნეიროფსიქოლოგიის ელემენტებს.

პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირების მიზნით და ამზადებს კურსდამთავრებულებს კლინიკურ, საგანმანათლებლო და კვლევით გარემოში საქმიანობისათვის. პროფესიულ უნარებთან ერთად პროგრამა ხელს უწყობს კვლევითი კომპეტენციების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს მზადყოფნას პროფესიული პრაქტიკისთვის და შემდგომი აკადემიური განვითარებისთვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შესაფასებლად გაიმართა 2026 წლის 6 მარტს. ექსპერტთ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ზამირა ჰისენი-დურაკუ. ექსპერტთა ჯგუფში შედიოდნენ: ლია სანიკიძე (დარგის ექსპერტი), ნინო პატარაია (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) და გიორგი მხეიძე (სტუდენტი ექსპერტი). ვიზიტს კოორდინაციას უწევდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, ანა ჯავახიშვილი.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. განხორციელდა მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ექსპერტთა ჯგუფი ეწვია ერთ - ერთ დაწესებულებას, სადაც სტუდენტები გაივლიან პრაქტიკულ მომზადებას. ასევე, ჩატარდა ინტერვიუები სტუდენტებთან,

კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს. ყველა კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, გარდა 1.5 კომპონენტისა, რომელი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“. სტანდარტების დეტალური შეფასება მოცემულია მე - 3 ცხრილში: *პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი*

რჩევები

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

1. სასურველია, უნივერსიტეტმა დაადგინოს ან მკაფიოდ განსაზღვროს ადამიანთა მონაწილეობით განხორციელებული ყველა სამაგისტრო კვლევისთვის ეთიკური შეფასებისა და დამტკიცების სავალდებულო პროცედურა, შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების, პროცედურული ეტაპებისა და დოკუმენტაციის მოთხოვნების განსაზღვრით, აგრეთვე, უზრუნველყოს სტუდენტებისთვის კვლევის ეთიკურ სტანდარტებსა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით სისტემური ინსტრუქციებისა და მხარდაჭერის მიწოდება.

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

1. სასურველია, უნივერსიტეტმა გამოყოს დამატებითი ფინანსები პროგრამის კვლევითი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია და მიიჩნია იგი დასაბუთებულად. ჯგუფი ეთანხმება და იზიარებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პოზიციას.

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

  - პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური / სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 6 აფილირებული პროფესორი (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული) და 8 მოწვეული ლექტორი. აფილირებული პერსონალი მოიცავს: 4 პროფესორს, 1 ასოცირებულ პროფესორს და 1 ასისტენტ პროფესორს. აკადემიური პერსონალის 5 წევრს აქვს დოქტორის ხარისხი შესაბამის დარგში.

აკადემიური პოზიციების განაწილების თვალსაზრისით, ასოცირებული პროფესორები შეადგენენ პერსონალის 67% - ს, პროფესორები - 17% - ს, ხოლო ასისტენტ პროფესორები და ასისტენტები თითოეული - 6% - ს. აღნიშნული სტრუქტურა აჩვენებს, რომ სწავლებაში, ხელმძღვანელობაში და კვლევით საქმიანობაში ჩართულია გამოცდილი აკადემიური პერსონალი, დამწყებ პერსონალთან ერთად.

პროგრამას ასევე ჰყავს მოწვეული ლექტორები, რომელთა უმეტესი ნაწილი წარმოადგენენ პრაქტიკოს სპეციალისტებს და არიან ამავე პროგრამის კურსდამთავრებულები. მათი ჩართულობა ხელს უწყობს კავშირს აკადემიურ სწავლებას და პროფესიულ პრაქტიკას შორის.

აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს თანაფარდობა მიუთითებს სწავლების შერეულ მოდელზე, რომელიც აერთიანებს შიდა აკადემიურ პოტენციალს გარე გამოცდილებასთან. აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს მხარს უჭერენ მოწვეული ლექტორები, რომლებიც უძღვებიან პროგრამის კონკრეტულ სასწავლო და პრაქტიკულ კომპონენტებს.

ყოველწლიურად პროგრამაზე ირიცხება დაახლოებით 10 სტუდენტი. სტუდენტებს აქვთ შესაბამისი აკადემიური ხელმძღვანელობა და ინდივიდუალური მხარდაჭერა. სტუდენტების და პერსონალის თანაფარდობა შეადგენს დაახლოებით 0.7 - ს, ხოლო ხელმძღვანელის და სტუდენტების 1:4 - ს. მაგისტრანტების ხელმძღვანელობა განაწილებულია აკადემიურ პერსონალს შორის, მათი სასწავლო და კვლევითი გამოცდილების და პასუხისმგებლობების შესაბამისად.

  - სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო

ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერეცნიებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში. პერსონალის პირადი საქმეები მიუთითებს კვლევით ბაზაზე, რომელიც მოიცავს უფროსი პერსონალის მიერ გამოქვეყნებულ დაახლოებით 40 სამეცნიერო ნაშრომს რეფერირებად ჟურნალებში, თანაავტორობით შექმნილ სამეცნიერო სტატიებს, ასევე, აკადემიური სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალების ავტორობას.

აკადემიური პერსონალის წევრები მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. პირად საქმეებში ასევე მითითებულია მათი ჩართულობა საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და თანამშრომლობის ქსელებში. მიუხედავად იმისა, რომ მათი მონაწილეობის შესახებ დეტალური რაოდენობრივი მონაცემები სრულად მოცემული არ არის, წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს მათ აქტიურ ჩართულობას კვლევით და საერთაშორისო აქტივობებში, რაც შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის პროგრამისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა ეფუძნება პროფესიულ პრაქტიკასთან გაერთიანებულ კვლევით მოდელს, რაც განსაკუთრებით აქტუალურია კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის დარგში. აკადემიურ და მოწვეულს პერსონალს წვლილი შეაქვს გამოყენებითი კვლევების და კლინიკური აქტივობების მეშვეობით, მათ შორის ნეიროფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის და რეაბილიტაციის სფეროში, ასევე, ინტერდისციპლინური თანამშრომლობით ფსიქოლოგიის, მედიცინის და ნეირომეცნიერების მიმართულებით. აღნიშნულ ინტეგრაციას ხელს უწყობს კვლევით ინსტიტუტებთან და კლინიკურ ცენტრებთან თანამშრომლობა, ასევე, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა.

საერთო ჯამში, პერსონალი აჩვენებს სამეცნიერო პროდუქტიულობას და სამეცნიერო საზოგადოებაში ჩართულობას. საერთო რაოდენობრივი მაჩვენებლების დამატება, როგორიცაა ინდექსირებული პუბლიკაციების რაოდენობა და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებლები, გააუმჯობესებს მტკიცებულებების სიცხადეს და შედარებადობას. სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის არსებული დონე შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის პროგრამისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) შეადგენს 0% - ს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დასაქმებული იქნა 5 ახალი აკადემიური პერსონალი. ამასთანავე, აკადემიური პერსონალის შემადგენლობას დაემატა 3 მოწვეული თანამშრომელი.

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

  პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტური ადგილების რაოდენობა: 10
- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**შეესაბამება**
1.1	პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია**
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია**
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია**
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია**
1.5	სასწავლო კურსი / საგანი	**შესაბამისობაშია**
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია**
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია**
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია**
2.4	სტუდენტების შეფასება	**შესაბამისობაშია**
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	**შესაბამისობაშია**
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	**შესაბამისობაშია**
4.	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	**შესაბამისობაშია**
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია**
4.4	მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია**
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**
5.2	გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შეესაბამისობაშია**

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში / დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია დარგის სპეციფიკის, სწავლების საფეხურის და საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის შესაბამისად და თანხვედრაშია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, პროგრამა მიჰყვება „კომპეტენციებზე დაფუძნებულ“ და „პრაქტიკოს - მკვლევრის“ მოდელს.

პროგრამის მიზანია სტუდენტებს გადასცეს სიღრმისეული და სისტემური ცოდნა თავის ტვინის ფუნქციონირების, ნეიროფსიქოლოგიური კლინიკური მდგომარეობების და როგორც ბავშვებში, ისე მოზრდილებში კოგნიტური, ემოციური და ქცევითი დარღვევების შესახებ. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს ნეიროფსიქოლოგიური შეფასების, დიაგნოსტიკის, კონსულტაციის და რეაბილიტაციის პრაქტიკული კომპეტენციების, აგრეთვე, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევების დაგეგმვის და განხორციელების კვლევითი უნარების განვითარებას.

მოსალოდნელია, რომ კურსდამთავრებულები შეიძენენ თეორიული ცოდნის პროფესიულ პრაქტიკაში გამოყენების, დიაგნოსტიკური და საინტერვენციო პროცესების წარმართვის, მულტიდისციპლინურ სპეციალისტებთან თანამშრომლობის უნარს, ეთიკური და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. პროგრამაში ასევე აქცენტი კეთდება ავტონომიურობაზე, პასუხისმგებლობაზე და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

მიზნებში ასევე ასახულია პროგრამის წვლილი დარგის და საზოგადოების განვითარებაში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით, რომლებიც შეძლებენ

ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებში მუშაობას, რითაც ხელს შეუწყობენ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის განვითარებას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და მიაწოდებენ სერვისებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში. პროგრამა ხელს უწყობს როგორც პროფესიული პრაქტიკოსების, ისე მომავალი მკვლევრების განვითარებას, მათ შორის სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და ხედვა; თსუ - ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N79/2018 დადგენილება „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის დამტკიცების შესახებ";
- თსუ - ს სტრატეგიული განვითარების გეგმა (2024–2031);
- სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნების შესაბამისობის რუკა;
- ჰიუსტონის კონფერენციაზე დადგენილი კლინიკური ნეიროფსიქოლოგების მომზადების სტანდარტები https://uh.edu/hns/hc.html;
- კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის ამერიკის აკადემიის (AACN) ნეიროფსიქოლოგიური შეფასების და კონსულტაციის სახელმძღვანელო პრინციპები (2007); კლინიკური ნეიროფსიქოლოგია, 21:2, 209–231. DOI: 10,1080/13825580601025932
- კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის გაერთიანება (2019), G. Smith, კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის განათლება და მომზადება: უახლესი განვითარებები და დოკუმენტები კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის გაერთიანებისგან; კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის არქივი, 34, 418 - 431. doi:10.1093/arclin/acy075
- ევროპის ფსიქოლოგთა ასოციაციების ფედერაციის (EFPA) კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის მუდმივი კომიტეტის საინფორმაციო დოკუმენტის)თეთრი წიგნი) პრინციპები (2021); შეთავაზება კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის EuroPsy სპეციალისტის სერტიფიკატის დანერგვის შესახებ, ვერსია 2.0, 20210115.

[რეკომენდაცები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[1.1 პროგრამის მიზნები](#)	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ასახავს კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის დარგის სპეციფიკურ მახასიათებლებს და მოთხოვნებს. ისინი სტრუქტურირებულია ისე, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს პროგრამის მიზნებთან სტუდენტებისგან მოსალოდნელი კომპეტენციების თანხვედრა.

სწავლის შედეგები მკაფიოდ განსაზღვრავენ თუ რა კომპეტენციებს შეიძენენ სტუდენტები თავის ტვინის ფუნქციონირების, ნეიროფსიქოლოგიური მდგომარეობების, კოგნიტური, ემოციური და ქცევითი დარღვევების, აგრეთვე, ბავშვებში და მოზრდილებში შეფასების და რეაბილიტაციის თეორიული მოდელების სიღრმისეული და სისტემური ცოდნის მიმართულებით. აღნიშნული ასახავს დარგის ინტერდისციპლინურ და სპეციალიზებულ ხასიათს.

უნარების თვალსაზრისით, სწავლის შედეგები აღწერს ყოვლისმომცველ პრაქტიკულ და ანალიტიკურ კომპეტენციებს. მოსალოდნელია, რომ კურსდამთავრებულები შეძლებენ ნეიროფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის დამოუკიდებლად დაგეგმვას და განხორციელებას, შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების შერჩევას და გამოყენებას, მიღებული შედეგების ინტერპრეტაციას და პროფესიული დასკვნების და რეკომენდაციების ჩამოყალიბებას. ასევე მოსალოდნელია, რომ ისინი შეძლებენ რეაბილიტაციის და კონსულტაციის პროცესების დაგეგმვას და განხორციელებას, აგრეთვე, კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სფეროში კვლევის კრიტიკულ ანალიზს და ჩატარებას.

სწავლის შედეგები მოიცავს პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, ხაზს უსვამს ეთიკური სტანდარტების გამოყენებას პროფესიულ პრაქტიკაში, მათ შორის კონფიდენციალობას, მონაცემთა და პირთა უფლებების დაცვას. მოსალოდნელია, რომ კურსდამთავრებულები გამოავლენენ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების, მულტიდისციპლინურ სპეციალისტებთან ეფექტური თანამშრომლობის, თვითრეფლექსიის და უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარს.

საერთო ჯამში, პროგრამის სწავლის შედეგები ყოვლისმომცველად აღწერს სტუდენტების მიერ შეძენილ ცოდნას, უნარებსდა პასუხისმგებლობა / ავტონომიურობას და მკაფიოდ შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ასევე, დარგის პროფესიულ და აკადემიურ მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა (9.1.); დანართი N4;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლებიც წარმოადგენენ უწყვეტ და სისტემატურ პროცესს. შეფასების ციკლი მოიცავს ძირითად ეტაპებს, მათ შორის სწავლის შედეგების განსაზღვრას, შესაბამისი მონაცემების შეგროვებას და შეგროვებული მონაცემების ანალიზს მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის შესაფასებლად. აღნიშნული პროცესი მხარდაჭერილია ინსტიტუციური სახელმძღვანელო პრინციპებით და ინსტრუმენტებით, მათ შორის პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკებით და სასწავლო გეფგმის რუკით, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსალოდნელი სწავლის შედეგების თანმიმდევრულობას და სასწავლო გეგმაში მათ განხორციელებას.

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება კურსის შინაარსის შესაბამისად შერჩეული სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, როგორიცაა გამოცდები, შემთხვევების ანალიზი, პრაქტიკული დავალებები, კვლევითი საქმიანობა და საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვა. მიღწევის დონის გასაზომად დადგენილია სამიზნე ნიშნულები, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების პასუხისმგებლობა განაწილებულია კურსის ლექტორებს და პროგრამის ხელმძღვანელს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ განახლებული პროგრამის ფარგლებში ჯერ არ არის ხელმისაწვდომი აქტიური სტუდენტების შეფასების მონაცემები, მათი შეგროვების და ანალიზის მექანიზმები შემუშავებულია. სტუდენტების მონაცემების ხელმისაწვდომობისთანავე დაგეგმილია შეფასების ციკლის უწყვეტი განხორციელება, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით.

სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის მუდმივი გაუმჯობესებისათვის. ვიზიტის შედეგად გამოვლინდა, რომ გათვალისწინებულია პროგრამის პერიოდული განახლება, მათ შორის სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლის მეთოდების და შეფასების მიდგომების გადახედვა. გარდა ამისა, ინსტიტუციური ერთეულები, როგორიცაა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის კონტროლის და შეფასების ცენტრი, ახორციელებენ მონიტორინგის პროცესს და უზრუნველყოფენ, რომ შეფასების შედეგები გახდეს შემდგომი გაუმჯობესების საფუძველი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება და შეფასება;
- პროგრამის რუკები (9.1, 9.2, 9.3); (დანართი N4);
- სწავლის შედეგების ანალიზი (დანართი N15);
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები (დანართი N14).

[რეკომენდაციები]

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის]

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამისს სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტიტუციური რეგულაციის შესაბამისად. შემუშავების პროცესი ეფუძნებოდა სტრუქტურირებულ და მრავალეტაპიან მიდგომას, რომელიც დაიწყო აკრედიტაციის პროცესის დაგეგმვით და მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებით, რომელშიც შედიოდნენ აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, დოქტორანტები და გარე დაინტერესებული მხარეები, მათ შორის დამსაქმებლები. ჩატარდა საჭიროებების ყოვლისმომცველი ანალიზი, რომელიც ეფუძნებოდა გამოკითხვებს, ფოკუს ჯგუფებს და კურსდამთავრებულების მიღწევების კვლევის მონაცემებს, რამაც გამოიწვია პროგრამის გადასინჯვა და დახვეწა. სისტემატურად განიხილებოდა და იხვეწებოდა სასწავლო გეგმის, სწავლის შედეგების და შეფასების რუკების სამუშაო ვერსიები დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე, რომელიც შემდგომ დამტკიცდა ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და მმართველი ორგანოების მიერ.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, რაც უზრუნველყოფს მკაფიო პროგრესიას საბაზისო ინტერდისციპლინური ცოდნიდან სპეციალიზებულ კომპეტენციებამდე და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლამდე. სასწავლო გეგმა თანმიმდევრულად აერთიანებს აკადემიურ, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებს, რაც მხარდაჭერილია მკაფიოდ განსაზღვრული წინაპირობებით, რომლებიც ხელს უწყობენ კუმულაციურ სწავლას. ბალანსი სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის უზრუნველყოფს როგორც ძირითადი კომპეტენციების განვითარებას, ისე ინდივიდუალურ აკადემიურ სპეციალიზაციას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი ავითარებს დამოუკიდებელ კვლევით უნარებს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა სრულად შეესაბამება მოსალოდნელ სწავლის შედეგებს, რომლებიც თანხვედრაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ასახავს როგორც აკადემიურ სტანდარტებს, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათი, რომელიც მოიცავს ცოდნას მომიჯნავე დარგებიდან, როგორიცაა ნევროლოგია, ფსიქიატრია და ფსიქოლოგია, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების მიერ ყოვლისმომცველი და გამოყენებადი კვალიფიკაციის და გამოცდილების მიღებას. საერთო ჯამში, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს და კურსდამთავრებულის მოსალოდნელ პროფილს, რაც მათ ამზადებს როგორც პროფესიული პრაქტიკისთვის, ისე შემდგომი აკადემიური განვითარებისთვის. გარდა ამისა, განხორციელდა პროგრამის შედარება საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედ მსგავს პროგრამებთან, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას უახლეს აკადემიურ მიღწევებთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის განვითარების კომიტეტის, ფაკულტეტის საბჭოს და აკადემიური საბჭოს სხდომების ოქმები;
- პროგრამის რუკები;
- შედარებითი ანალიზი: საგანმანათლებლო პროგრამის შედარება უცხოურ ანალოგებთან;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 2 თებერვლის N16/2020 დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურების დამტკიცების შესახებ.

[რეკომენდაციები]

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის]

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი
➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების განაწილება სათანადოდ არის განსაზღვრული კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 120 კრედიტს, საიდანაც 75 კრედიტი გათვალისწინებულია სავალდებულო კურსებისთვის, 15 კრედიტი არჩევითი კურსებისთვის და 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომისთვის. აღნიშნული განაწილება ასახავს თითოეული კურსის მოცულობას, სირთულეს და სასწავლო დატვირთვას, რაც უზრუნველყოფს მოსალოდნელი სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას.

ძირითადი სწავლის სფეროს კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები თანმიმდევრულად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო გეგმა ასახავს ლოგიკურ პროგრესიას - თეორიული საფუძვლებიდან პრაქტიკულ უნარებამდე და კვლევით კომპეტენციებამდე, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ეტაპობრივად განავითაროონ პროგრამით მოთხოვნილი ცოდნა, უნარები და პროფესიული კომპეტენციები.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები ზოგადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მითითებული ლიტერატურა ძირითადად შეესაბამება კურსის შინაარსს, ხოლო შეფასების მეთოდები (მაგალითად, წერითი გამოცდები, პრაქტიკული დავალებები, შემთხვევების ანალიზი და კვლევითი დავალებები) მრავალფეროვანია სტუდენტების სწავლის სხვადასხვა განზომილების შესაფასებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის რუკა (9.1, 9.2, 9.3);

რეკომენდაციები.

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის]

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ - ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დაშვების წინაპირობები შემუშავებულია პროგრამის შინაარსის შესაბამისად და აღნიშნულ დარგში მომზადებული სტუდენტების მისაღებად.

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი კანდიდატი უნდა ფლობდეს ბაკალავრის ხარისხს ფსიქოლოგიაში ან მომიჯნავე დარგში (მაგალითად, ფსიქოლოგიის დამატებითი სპეციალობა). გარდა ამისა, მოთხოვნილია სულ მცირე 1 წლიანი გამოცდილება ფსიქოლოგიური სერვისების სფეროში, როგორიცაა კლინიკაში ან ცენტრში მუშაობა. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ ჩარიცხულ სტუდენტებს უკვე ექნებათ საბაზისო ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

აპლიკანტებმა ასევე უნდა ჩააბარონ ერთიანი სამაგისტრო გამოცდა და დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე. გარდა ამისა, მათ მოეთხოვებათ წერითი გამოცდის ჩაბარება კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში და ბავშვთა განვითარების დარღვევებში, ასევე სამოტივაციო წერილის წარდგენა.

მიღება ეფუძნება ქულის ჯამურ სისტემას. ინგლისური ენის გამოცდა შეადგენს 30% - ს, სპეციალობის გამოცდა 50% - ს, ხოლო სამოტივაციო წერილი 20% - ს. აღნიშნული სისტემა აფასებს როგორც აკადემიურ ცოდნას, ისე პირად მოტივაციას. სამოტივაციო წერილი ფასდება მკაფიო კრიტერიუმებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობას.

აპლიკანტების რეიტინგი განისაზღვრება მიღებული ქულების საფუძველზე და მაღალი შედეგების მქონე კანდიდატები ჩაირიცხებიან პროგრამაზე ხელმისაწვდომი ადგილების შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტები არ ეთანხმებიან მიღებულ შედეგებს, მათ აქვთ გასაჩივრების უფლება.

საერთაშორისო სტუდენტების პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. გარდა ამისა, პროგრამაზე სხვა უნივერსიტეტებიდან ან პროგრამებიდან გადმოსული სტუდენტების მიღება შესაძლებელია დადგენილი მობილობის წესების შესაბამისად.

ყოველწლიურად იგეგმება პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობა. უნივერსიტეტი იყენებს სპეციფიკურ მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს წინა წლების მონაცემებს და არსებულ რესურსებს, როგორიცაა პერსონალი, ფინანსები და მატერიალურ - ტექნიკური ბაზა. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას და ხარისხს.

პროგრამაზე მიღების ყველა პროცედურა შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. მოთხოვნები, გამოცდები და პროგრამის დეტალები მკაფიო თანხვედრაშია სწავლის შედეგებთან და სწავლების საფეხურთან.

მიღების პროცესი გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია. შესაბამისი ინფორმაცია გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გავრცელებულია სოციალური მედიის, შეხვედრების და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

საერთო ჯამში, პროგრამაზე მიღების სისტემა სამართლიანი, მკაფიო და კარგად ორგანიზებულია, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე შესაფერისი სტუდენტების შერჩევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის აღწერა;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის N72/2018 დადგენილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღების დაგეგმვის წესის დამტკიცების შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამების სტატისტიკური მონაცემები – 2025;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;

- ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის ვებგვერდი; უნივერსიტეტის ვებგვერდი.

[რეკომენდაციები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპეტენციების სისტემატურ განვითარებას მე-7 საფეხურის სწავლის შედეგების შესაბამისად.

პრაქტიკული მომზადება სტრუქტურირებულია პასიური დაკვირვების, სპეციალისტებთან ერთობლივი მუშაობის და შემდგომი დამოუკიდებელი პრაქტიკის კომბინაციით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალურ პროფესიულ გარემოში ეტაპობრივად განავითარონ შესაბამისი კომპეტენციები.

პრაქტიკულ აქტივობებს ხელმძღვანელობენ კვალიფიციური სპეციალისტები. სტრუქტურირებული მექანიზმების მეშვეობით, მათ შორის სპეციალისტების მიერ ხელმოწერილი დასწრების და აქტიურობის აღრიცხვის ფურცლებით და მენტორის შეფასებების გამოყენებით, ხორციელდება სტუდენტების მოსწრების მონიტორინგი, რომლის შედეგებიც გათვალისწინებულია პრაქტიკის ხელმძღვანელის საბოლოო შეფასებაში. დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობის შეფასება ეფუძნება შეფასების მიდგომებს, რომლებიც განსაზღვრულია ნეიროფსიქოლოგიური შეფასების პრაქტიკუმის

და ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაციის და კონსულტაციის პრაქტიკუმის სასწავლო კურსების სილაბუსებში.

კვლევითი კომპონენტი სრულად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და მოიცავს სამაგისტრო ნაშრომისათვის განსაზღვრულ 30 კრედიტს. ხელმძღვანელის დაკვირვების ქვეშ სტუდენტები დამოუკიდებლად ახორციელებენ კვლევას, მათ შორის არჩევენ თემას, მიმოიხილავენ ლიტერატურას, აყალიბებენ კვლევის დიზაინს, განსაზღვრავენ გამოსაყენებელ მეთოდოლოგიას, აგროვებენ და აანალიზებენ მონაცემებს. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს მაღალი დონის კვლევითი და ტექნიკური უნარების განვითარებას.

მეთოდოლოგიური მომზადება მოიცავს რაოდენობრივი ანალიზის გაღრმავებულ კურსს (მაგალითად, რეგრესიული და ფაქტორული ანალიზი), რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს დაამუშაონ მონაცემები, შეისწავლონ მიზეზ - შედეგობრივი კავშირები და გაანალიზონ შედეგები ინფერენციული სტატისტიკის გამოყენებით. კოგნიტური და ექსპერიმენტული ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო კურსები ავითარებენ ექსპერიმენტული დიზაინის, კვლევის პარადიგმების და მრავალდონიანი მონაცემების ინტერპრეტაციის კომპეტენციებს.

პროგრამა ხელს უწყობს ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, ანალიტიკური მსჯელობა, პრობლემის გადაჭრა და ინოვაციურობა. სწავლების და შეფასების მეთოდები ხელს უწყობენ ინფორმაციის მართვის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზის და ციფრული კომპეტენციების განვითარებას, კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის და პასუხისმგებლობის გაზიარების უნარებთან ერთად.

მრავალფეროვნების, ინკლუზიის და კულტურული ცნობიერების პრინციპები ინტეგრირებულია სასწავლო გეგმაში, რაც პრაქტიკაში და კვლევაში უზრუნველყოფს ემპათიას ინდივიდუალური განსხვავებებისადმი. სტუდენტების კვლევის თემები შეესაბამება ფაკულტეტის კვლევით მიმართულებებს, ხოლო მაღალი ხარისხის შედეგები ქვეყნდება რეფერირებად ჟურნალებში ერთობლივი პუბლიკაციების ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა; დანართი N1;
- პროგრამის სილაბუსები; დანართი N1;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები; დანართი N9;
- შრომის ბაზრის კვლევა; დანართი N8;
- თვითშეფასების ანგარიში.

[რეკომენდაციები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების მე-7 დონის მოთხოვნებს, კურსის შინაარსს და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. შერჩეული მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების ეფექტიან განვითარებასა და წარმოჩენას/დემონსტრირებას. სწავლებისა და სწავლის მეთოდები განსაზღვრულია სასწავლო კურსების დონეზე და ასახავს როგორც დისციპლინის სპეციფიკას, ისე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონტექსტში სრულყოფილად შემუშავებული დარგობრივი მეთოდოლოგია არ არსებობს, პროგრამა წარმატებით აერთიანებს საერთაშორისოდ აღიარებულ აქტიური სწავლების მიდგომებს, რომლებიც ადაპტირებულია ადგილობრივ საჭიროებებზე.

პროგრამა იყენებს მრავალფეროვან და ურთიერთშემავსებელ მეთოდთა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია სტუდენტთა აქტიური ჩართულობისა და პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობისკენ, მათ შორის:

- ლექციასა და განმარტებით მეთოდს;
- დისკუსიასა და დებატებს;
- გამოცდილებაზე დაფუძნებულ და თანამშრომლობით სწავლებას;

- შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებასა და ანალიზს;
- როლურ თამაშსა და სიტუაციურ სიმულაციებს (მაგალითად, თერაპევტი - კლიენტი, დიაგნოსტიკოსი –კლიენტი სცენარები);
- ინდუქციურ და დედუქციურ მიდგომებს;
- პრაქტიკულ დავალებებსა და დამოუკიდებელ მუშაობას;
- ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტებსა და ციფრულ პლატფორმებს.

თეორიული ცოდნა განმტკიცებულია ინტერაქტიული ფორმატების გამოყენებით, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, სტუდენტთა პრეზენტაციები და სტრუქტურირებული დისკუსიები. პრაქტიკული კომპონენტები ორიენტირებულია გამოყენებით სწავლებაზე და ხორციელდება სიმულაციების, დემონსტრირების, შემთხვევების შესწავლისა და ზედამხედველობის ქვეშ შესრულებული დავალებების მეშვეობით. სტუდენტებს მოეთხოვებათ ბავშვებსა და ზრდასრულებთან ჩატარებული შეფასებების შედეგების ანალიზი და წარდგენა, მათ შორის მათი ინტერპრეტაცია, დასკვნების ჩამოყალიბება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება.

გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებას. სტუდენტები ავითარებენ ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში, აგრეთვე, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის კომპეტენციებს.

სწავლების მიდგომები მოქნილია და შეიძლება ადაპტირებული იყოს ინდივიდუალური სტუდენტის საჭიროებებზე პერსონალიზებული სასწავლო გეგმების მეშვეობით, რომლებიც მხარდაჭერილია (რომლებსაც მხარს უჭრს) დადგენილი ინსტიტუციური პროცედურებით. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული პროგრამის ფარგლებში დღემდე ინდივიდუალური გეგმები არ განხორციელებულა, აღნიშნული მექანიზმები აქტიურად გამოიყენება ინსტიტუციურ დონეზე.

პროგრამა აქტიურად ახდენს ციფრული სწავლების ტექნოლოგიების ინტეგრირებას, განსაკუთრებით Moodle-ის პლატფორმის გამოყენებით, სწავლების ეფექტიანად განხორციელების, კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. აკადემიური პერსონალი უწყვეტად ვითარდება პროფესიულად თანამედროვე პედაგოგიკური მეთოდების მიმართულებით, მათ შორის ონლაინ სწავლების, სასწავლო კურსის დიზაინისა და შეფასების სფეროებში.

დაწესებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აკადემიურ კეთილსინდისიერებასა და კვლევის ეთიკის დაცვას. დამხმარე მასალები, მათ შორის ვიდეო ლექციები და ონლაინ კურსები, ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის. მათ შორის აღსანიშნავია ისეთი ინიციატივების ფარგლებში შექმნილი რესურსები, როგორიცაა Erasmus+ პროექტი — „Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia“ / "აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისთვის საქართველოს უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ (INTEGRITY) და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ETHICS - ის კურსი, რომელიც კვლევის ეთიკასა და კეთილსინდისიერებას ეხება.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ამჟამად ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებებს ემსახურება, შესაბამისი ნაბიჯები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უკვე (გადა)იდგმება. აღნიშნული მოიცავს გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების შემუშავებასა და დანერგვას. აკადემიური პერსონალი სასწავლო კურსების დაგეგმვასა და განხორციელებაში ინტერკულტურულ კომპეტენციებსაც ითვალისწინებს, რაც მომავალში საერთაშორისო საგანმანათლებლო გარემოში მონაწილეობის შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო პროგრამა; დანართი N1
- პროგრამის სილაბუსები (სასწავლო გეგმები); დანართი N1
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კონცეფცია; დანართი N3
- თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალი
- თვითშეფასების ანგარიში

[რეკომენდაციები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები](#)	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, სანდოობასა და ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობას. შეფასება მოიცავს როგორც საგანმანათლებლო კომპონენტებს (თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო კურსებს), ისე კვლევით კომპონენტებს. საგანმანათლებლო კომპონენტები ფასდება როგორც მიმდინარე შეფასების, ისე სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი ფასდება როგორც ერთიანი კომპონენტი. სისტემა ეფუძნება ეროვნულ რეგულაციებს (2007 წლის №3 ბრძანება) და იყენებს 100-ქულიან შეფასების შკალას, მკაფიოდ განსაზღვრული დადებითი და უარყოფითი შეფასების ზღვრული მაჩვენებლებით, მათ შორის, დამატებითი გამოცდის უფლების (FX) და სასწავლო კურსის ხელახლა გავლის (F) შესახებ დებულებებით.

შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება სწავლის შედეგებს; იგი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და რუბრიკების საფუძველზე. ის მოიცავს შუალედურ შეფასებებს (ტესტები, ესეები, შემთხვევის ანალიზი), პრაქტიკულ დავალებებს და საბოლოო გამოცდას (მაქსიმუმ 40 ქულა). სტუდენტმა შუალედური შეფასების კომპონენტებში სულ მცირე 21 ქულა უნდა დააგროვოს, რომ მოიპოვოს საბოლოო გამოცდაზე დაშვების უფლება, ამასთან მოქმედებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარიც, რომელიც 50%-ს შეადგენს.

პრაქტიკული სამუშაო (სწავლება) ფასდება დაკვირვების, ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებული ჩართულობისა და დამოუკიდებელი მუშაობის საფუძველზე. შეფასება მოიცავს მენტორის უკუკავშირსა და სტრუქტურირებულ შეფასების ინსტრუმენტებს, რაც პრაქტიკული კომპეტენციების სანდო და თანმიმდევრულ შეფასებას უზრუნველყოფს.

სამაგისტრო ნაშრომი (30 ECTS) ფასდება ფაკულტეტის დადგენილი რეგულაციების შესაბამისად და მოიცავს პლაგიატის შემოწმებას, ხელმძღვანელის დამტკიცებას, გარე შეფასებასა და ფორმალურ დაცვას. შეფასების კრიტერიუმები მოიცავს თემის აქტუალობას, მეთოდოლოგიურ სისწორეს, ანალიზის ხარისხს, ნაშრომის შინაარსობრივ და სტრუქტურულ თანმიმდევრულობასა და აკადემიური სტანდარტების დაცვას.

შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და მოთხოვნები წინასწარ არის ცნობილი სილაბუსებისა და ელექტრონული სასწავლო პლატფორმის მეშვეობით. სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუკავშირს, რაც მათი სწავლის შედეგების გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა; დანართი N1
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; დანართი N1

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის კრედიტების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“
- სამაგისტრო პროექტების/დისერტაციების წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა
- ინსტიტუციური კვლევის ეთიკის საბჭოს (IRB) ფორმა; დანართი №14
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები; აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება, „უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების (წინსვლის) ინსტრუქციისა და პროცედურის შესახებ“; დანართი N3.
- ელექტრონული სწავლების მართვის პორტალი: https://uni.tsu.ge/login?returnUrl=%2F
- ელექტრონული სწავლების პორტალი: e-learning.tsu.ge
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია
- თვითშეფასების ანგარიში

[რეკომენდაციები.]

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის]

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4. სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვისუზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მითითების სათანადო ხარისხი.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და

სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსუ-ს მიერ წარდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, აშკარაა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პროგრამების შესახებ სრულ ინფორმაციას აწვდის. დაწესებულება აქტიურად ახორციელებს სტუდენტების მხარდაჭერის სტრუქტურირებულ მექანიზმებს, მათ შორის ისეთ სერვისებს, როგორიცაა სტუდენტური ომბუდსმენი, სტუდენტური სერვისები და კარიერული განვითარების ცენტრი, რომლებიც მხარს უჭერენ სტუდენტების აკადემიურ, პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას. უნივერსიტეტს ასევე აქვს ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, რომელიც ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობას ემსახურება.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ინტეგრაციასა და საუნივერსიტეტო გარემოსთან ადაპტაციას საორიენტაციო აქტივობების, სტუდენტური გზამკვლევებისა და აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან უწყვეტი კომუნიკაციის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ თსუ-ს აკადემიური პერსონალი, ისევე როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, მჭიდრო კომუნიკაციას ინარჩუნებენ სტუდენტებთან, რაც ნათლად დადასტურდა ინტერვიუების დროს.

სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები უზრუნველყოფილი და დაცულია ინსტიტუციურ დონეზე, მათ შორის სტუდენტური „ომბუდსმენის“ ოფისის მეშვეობით, რომელიც ფუნქციონირებს როგორც სტუდენტების პრობლემების მოგვარების დამოუკიდებელი მექანიზმი. როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალი სტუდენტებს აწვდის ყოვლისმომცველ ინფორმაციას სასწავლო პროგრამის, სასწავლო პროცესებისა და სხვა მნიშვნელოვანი აკადემიური საკითხების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალი ასევე უზრუნველყოფს სტუდენტთა მხარდაჭერას ინდივიდუალური სასწავლო ტრაექტორიების დაგეგმვის პროცესში.

სტუდენტების კონსულტაციები ლექტორებთან ტარდება სილაბუსებით განსაზღვრულ სამუშაო საათებში, ხოლო დამატებითი კონსულტირება და აკადემიური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და შესაბამისი აკადემიური ერთეულების მიერ.

დაწესებულება აქტიურად აწყობს დასაქმების ფორუმებს, ღონისძიებებსა და საჯარო ლექციებს, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების კარიერულ განვითარებას. სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული განვითარების ცენტრის მეშვეობით სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია სტაჟირების, დასაქმებისა და კარიერული

განვითარების შესაძლებლობების შესახებ, მათ ასევე აქვთ დამსაქმებლებთან რეგულარული კომუნიკაციის შესაძლებლობა.

თსუ მხარს უჭერს სტუდენტების მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო აკადემიურ პროექტებში, კონფერენციებსა და მობილობის პროგრამებში, როგორიცაა Erasmus+. სტუდენტებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია გრანტების, სტიპენდიებისა და კვლევით შესაძლებლობების შესახებ, ხოლო აკადემიური პერსონალი მხარდაჭერას უწევს მათ შესაბამის აქტივობებში მონაწილეობის პროცესში.

დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობის მხარდაჭერასა და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობას აქტიური სტუდენტური თვითმმართველობისა და აკადემიურ, კულტურულ და კვლევით სფეროებში სტუდენტთა ინიციატივების მხარდასაჭერად შექმნილი დაფინანსების მექანიზმების საშუალებით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის დამატებითი მხარდაჭერა უზრუნველყოფილია შესაბამისი რეგულაციების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და მხარდამჭერი სერვისების მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში კი პროცესში ჩართული არიან შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებიც.

საერთო ჯამში, თსუ უზრუნველყოფს სტუდენტების სათანადო ინფორმირებულობას და მხარდაჭერას სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში, ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას აკადემიურ გარემოში, უზრუნველყოფს აკადემიური და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს და ინარჩუნებს სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ეფექტურ მექანიზმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- თსუ-ს შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესები;
- თსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრი;
- თსუ-ს სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრი;
- სტუდენტების ეთიკის კოდექსი;
- ადგილზე ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- ვებ-გვერდი.

[რეკომენდაცები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის]

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროცესის მართვის მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც მოიცავს კვლევითი კომპონენტის მომზადებისა და დაცვის მკაფიო წესებს. თსუ- ს აქვს დოკუმენტირებული პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელის დანიშვნას, შეცვლას, უფლებებსა და მოვალეობებს.

თემის ხელმძღვანელების დანიშვნის პროცესი გამჭვირვალეა და რეგულირდება შესაბამისი ინსტიტუციური დოკუმენტებით. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის პროცედურებისა და საკუთარი უფლებების შესახებ. დადასტურდა, რომ სტუდენტებს აქვთ აკადემიური თავისუფლება, საკუთარი აკადემიური ინტერესების შესაბამისად, შეარჩიონ საკვლევი თემა. აღნიშნული ინტერვიუების პროცესში დაადასტურეს როგორც სტუდენტებმა, ისე აკადემიურმა პერსონალმა და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა.

სადიპლომო ნაშრომის თემის სპეციფიკიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, სტუდენტს შეიძლება ასევე ჰყავდეს თანახელმძღვანელი. აღნიშნული პრაქტიკა უნივერსიტეტში დანერგილია და დაწესებულების მხრიდან სრულად არის მხარდაჭერილი. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ამ შესაძლებლობის შესახებ.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში ხელმძღვანელები სტუდენტებთან რეგულარულ კონსულტაციებს მართავენ სილაბუსის შესაბამისად. უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტებს კვლევის პროცესში. სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ნაშრომის მომზადების პროცესში მათ ხელმძღვანელებთან აქტიური კომუნიკაცია ჰქონდათ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ ხელმძღვანელებთან როგორც პირისპირი კომუნიკაციის შესაძლებლობა, ასევე, ელ. ფოსტის საშუალებით.

ხელმძღვანელები სტუდენტებთან რეგულარულად მართავენ საკონსულტაციო შეხვედრებს და აქტიურად არიან ჩართულნი სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში. ისინი სტუდენტებს კონსულტაციას უწევენ კვლევის დიზაინის, კვლევის მეთოდოლოგიისა და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესის მართვის საკითხებზე.

სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ ისინი სრულად იყვნენ ინფორმირებულნი საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. მათ კვლევის პროცესის დაწყებამდე და მიმდინარეობისას მიიღეს ყველა საჭირო ინსტრუქცია.

გარდა ამისა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, აგრეთვე ჩაერთონ სამეცნიერო პუბლიკაციებსა და მრავალფეროვან კვლევით პროექტებში, რომლებიც უნივერსიტეტის მხარდაჭერით ხორციელდება.

როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, ამ მხრივ ისინი აკადემიური პერსონალისგან სრულ მხარდაჭერას იღებენ.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორი, აგრეთვე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ასოცირებული პროფესორი ან მოწვეული ლექტორი. რეგულაციების თანახმად, ერთ ხელმძღვანელს ერთი სემესტრის განმავლობაში ხუთზე მეტი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა არ უნდა დაეკისროს. აღნიშნული მოთხოვნა უნივერსიტეტში დაცულია, რაც სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტიანად წარმართვას უზრუნველყოფს.

უნივერსიტეტში ასევე დანერგილია აკადემიური საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტიანობის უზრუნველყოფასა და მის შემდგომ განვითარებას. აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს როგორც ხელმძღვანელობის ხარისხის შეფასებას, ისე სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის გაუმჯობესებას.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და ხელმძღვანელობის პროცესი რეგულირდება მკაფიოდ განსაზღვრული დოკუმენტირებული წესებით. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ხელმძღვანელის

შერჩევის პროცედურებისა და მათი უფლებების შესახებ და მათ აქვთ თავისუფლება აირჩიონ საკვლევი თემა. ხელმძღვანელები რეგულარულ კონსულტაციებს ატარებენ სტუდენტებთან და აქტიურად არიან ჩართულნი კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის შემუშავებაში. ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს შორის ბალანსი დაცულია, რაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტურობას.

თუმცა, მკაფიო მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ ადამიანთა მონაწილეობით განხორციელებული სამაგისტრო კვლევები სისტემატურად გადის ფორმალური ეთიკური შეფასებისა და დამტკიცების პროცედურას. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები ხელმძღვანელებისგან იღებენ შესაბამის აკადემიურ მხარდაჭერასა და მითითებებს, ეთიკური დამტკიცების მკაფიოდ გაწერილი პროცედურების არარსებობა შესაძლოა აფერხებდეს კვლევის ეთიკის მიმართულებით სტუდენტთა კომპეტენციების სისტემურ განვითარებას და ემპირიულ ნაშრომებში ეთიკური სტანდარტების თანმიმდევრულ დაცვას.

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	5
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა რაოდენობა	20
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	1.4.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხელმძღვანელის / თანახელმძღვანელის ხელშეკრულება;
- დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელის დანიშვნას, შეცვლას და უფლებამოსილებას;
- მაგისტრატურაში ხელმძღვანელისა და მაგისტრანტების რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- მაგისტრანტების მიერ ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- ვებ-გვერდი.

[რეკომენდაციები](). არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

სასურველია, უნივერსიტეტმა დაადგინოს ან მკაფიოდ განსაზღვროს ადამიანთა მონაწილეობით განხორციელებული ყველა სამაგისტრო კვლევისთვის ეთიკური შეფასებისა და დამტკიცების სავალდებულო პროცედურა, შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების, პროცედურული ეტაპებისა და დოკუმენტაციის მოთხოვნების განსაზღვრით, აგრეთვე, უზრუნველყოს სტუდენტებისთვის კვლევის ეთიკურ სტანდარტებსა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით სისტემური ინსტრუქციებისა და მხარდაჭერის მიწოდება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა](#)	შესაბამისობაშია

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.
- აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას უძღვებიან კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა კომპეტენციები შეესაბამება დასახულ სასწავლო შედეგებს. პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი თამარ გაგოშიძე, ნეიროფსიქოლოგიის სფეროში წამყვანი ექსპერტია, რომელსაც აქვს ფართო აკადემიური, კლინიკური და კვლევითი გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან ხელმძღვანელობასა და განვითარებას.

პროგრამას ხელმძღვანელობს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი და მის განხორციელებაში ჩართულია 14 კვალიფიციური თანამშრომლისგან შემდგარი მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც აერთიანებს სწავლების, კვლევისა და კლინიკური საქმიანობის მნიშვნელოვან გამოცდილებას. აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს როგორც მდგრადობას, ასევე თანამედროვე სამეცნიერო ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის ინტეგრაციას.

კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ავლენს ძლიერ შესაბამისობას საკუთარ შესაძლებლობებს, აკადემიურ რესურსებსა და მიღწეულ შედეგებს შორის. პროგრამა ყოველწლიურად 10 სტუდენტის მიღებით უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის, ინდივიდუალურ მხარდაჭერას სტუდენტებისა და პერსონალის ხელსაყრელი თანაფარდობით (0.7) და ხელმძღვანელისა და სტუდენტის თანაფარდობით (1:4).

აკადემიური პერსონალის კომპეტენციასა და ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს გამჭვირვალე შერჩევის პროცედურები, პერსონალის სისტემური შეფასება და სახელშეკრულებო ვალდებულებების მკაფიო განსაზღვრა. ადმინისტრაციული მხარდაჭერის სტრუქტურები უზრუნველყოფს პროგრამის ოპერაციული საჭიროებების სათანადო დონეზე დაკმაყოფილებას. კურსდამთავრებულთა შედეგები ადასტურებს პროგრამის მაღალეფექტიანობას: დასაქმების მაჩვენებელი 100%-ს შეადგენს, კურსდამთავრებულთა 90% დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად, ხოლო დაახლოებით ერთი მესამედი სწავლას სადოქტორო საფეხურზე აგრძელებს. აღნიშნული შედეგები ადასტურებს პროგრამის ძლიერ შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და აკადემიური წინსვლის შესაძლებლობებთან. / აღნიშნული შედეგები ასახავს როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მყარ შესაბამისობას, ისე აკადემიური განვითარების შემდგომი საფეხურების ხელმისაწვდომობას.

პერსონალის შერჩევა ხორციელდება გამჭვირვალე და კონკურენტული პროცედურების საფუძველზე, ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობით. სისტემატიურად ფასდება მათი კვალიფიკაცია, პედაგოგიური კომპეტენცია და კვლევითი ჩართულობა. სამუშაო დატვირთვის განაწილება რეგულირდება, გამჭვირვალეა და შეესაბამება სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

სწავლების პროცესი მხარდაჭერილია კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან ორგანიზებასა და განხორციელებას.

პროგრამა ავლენს მდგრადობის მაღალ ხარისხს, რაც გამოიხატება პერსონალის გადინების არარსებობასა და თანამშრომელთა აქტიურ ჩართულობაში როგორც კვლევით, ისე პროფესიულ საქმიანობაში. მოწვეული პრაქტიკოსების ინტეგრირება აძლიერებს კავშირს აკადემიურ მომზადებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის.

პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის გუნდთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, ხელმძღვანელობს პროგრამის უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. გაუმჯობესების პროცესებში ჩართულნი არიან დაინტერესებული მხარეები, მათ შორის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

საერთო ჯამში, პროგრამაში ჩართული ადამიანური რესურსები რაოდენობრივად საკმარისია, სათანადო კვალიფიკაციისაა, რაც პროგრამის მაღალი ხარისხით განხორციელებასა და ინსტიტუციურ და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [5]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**14**	**11**	**5**	**6**
- პროფესორი	4			
- ასოცირებული პროფესორი	1			
ასისტენტ პროფესორი	1			
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	8			_
სამეცნიერო პერსონალი				_
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით				

[5]ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები (დანართი N5);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (დანართი N5);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონტრაქტების ნიმუშები (დანართი N2);
- თვითშეფასების ანგარიში

[რეკომენდაციები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.1. ადამიანური რესურსი](#)	შესაბამისოაბსია

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელთა კომპეტენციები და კვლევითი გამოცდილება შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს. ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან სტუდენტების მხარდაჭერასა და მიმართულების მიცემაზე სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის მთელი პროცესის განმავლობაში, მათ შორის კვლევის დიზაინის შემუშავების, მეთოდოლოგიის შერჩევის, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის, აკადემიური წერის, ასევე ეთიკური სტანდარტების დაცვის მიმართულებით (მაგ., აკადემიური კეთილსინდისიერება, მონაცემთა დაცვა და პლაგიატის პრევენცია). ისინი უზრუნველყოფენ რეგულარულ კონსულტაციებს, ხელს უწყობენ დროის ეფექტიან

მართვასა და კვლევის დაგეგმვას და სტუდენტებს ეხმარებიან სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში წარმოშობილი სირთულეების გადაჭრაში. სამეცნიერო ხელმძღვანელობა ხორციელდება გამოცდილი აკადემიური პერსონალის მიერ, რომელიც ფლობს სიღრმისეულ მულტიდისციპლინურ პროფესიულ ცოდნას ფსიქოლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის სფეროებში, მათ შორის არიან პროფესორი თამარ გაგოშიძე, ასოცირებული პროფესორი შორენა მამუკაძე, პროფესორი ხათუნა მარცხვიშვილი, ასისტენტ-პროფესორი ნინო წულაია და პროფესორი მანანა გაბაშვილი. მათი კვალიფიკაცია დასტურდება მათი კვლევითი გამოცდილებით, საერთაშორისო პუბლიკაციებით და სამეცნიერო ფორუმებში აქტიური მონაწილეობით.

დამატებითი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას, განსაკუთრებით ნეიროფსიქოლოგიური შეფასების, მონაცემთა ანალიზისა და გამოყენებითი კვლევის კუთხით.

საერთო ჯამში, პროგრამა უზრუნველყოფს, რომ ხელმძღვანელობა ხორციელდებოდეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ, რაც ხელს უწყობს მაღალი ხარისხის კვლევითი ნაშრომების შექმნას და აკადემიურ და პროფესიულ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობას.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	1	1	1
- ასისტენტ–პროფესორი	1		1
მოწვეული პერსონალი	8		_
სამეცნიერო პერსონალი	13		_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები (დანართი N5)
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (დანართი N5)
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებების ნიმუშები (დანართი N2)

- თვითშეფასების ანგარიში
-

[რეკომენდაციები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
➢ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და სისტემურ შეფასებას, ინსტიტუციური სტრატეგიისა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად. პერსონალის საქმიანობის შეფასება რეგულარულად ხორციელდება სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ყოველწლიური შეფასების საფუძველზე. სწავლების ხარისხის მონიტორინგი ხორციელდება ყოველსემესტრული სტუდენტური გამოკითხვების საფუძველზე, ხოლო კვლევითი პროდუქტიულობა ფასდება ინსტიტუციური ანგარიშგების სისტემების მეშვეობით, მათ შორის პუბლიკაციების, საგრანტო აქტივობებში მონაწილეობისა და სამეცნიერო შედეგების ანალიზის საფუძველზე. აკადემიური პერსონალი ავლენს ძლიერ კვლევით შედეგიანობას, რაც გამოიხატება მაღალი გავლენის მქონე, ინდექსირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებით.

უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს პერსონალის პროფესიულ განვითარებას ტრენინგების, საერთაშორისო მობილობისა და კვლევით საქმიანობაში ჩართულობის მხარდაჭერის გზით. აკადემიური პერსონალი მონაწილეობს გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო თანამშრომლობასა და სამეცნიერო ღონისძიებებში, რაც ხელს უწყობს როგორც მათ პროფესიულ განვითარებას, ისე პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე (მაგ., Web of Science, Scopus, EBSCO, JSTOR) ხელმისაწვდომობა და საბიბლიოთეკო ტრენინგები დამატებით აძლიერებს კვლევით შესაძლებლობებს. დაწესებულება ასევე ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და თანამედროვე სასწავლო პრაქტიკის დამკვიდრებას მიზნობრივი ტრენინგების მეშვეობით ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა ელექტრონული სწავლება (Moodle), კვლევის ეთიკა, პლაგიატის გამოვლენა (Turnitin), სასწავლო გეგმის დიზაინი და განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება. ინსტიტუციური პოლიტიკა და წამახალისებელი მექანიზმები, მათ შორის მაღალი სამეცნიერო გავლენის მქონე პუბლიკაციებისთვის დაწესებული ჯილდოები, ხელს უწყობს სამეცნიერო პროდუქტიულობის ზრდას. როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი აქტიურად არის ჩართული კვლევით და საგანმანათლებლო პროექტებში, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში თანამედროვე ცოდნის ინტეგრირებას.

საერთო ჯამში, პროგრამა ავლენს სტანდარტთან შესაბამისობის მაღალ ხარისხს, რაც გამოიხატება პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში, საქმიანობის ეფექტიან შეფასებასა და კვლევით და საერთაშორისო აკადემიურ თანამშრომლობაში აქტიურ ჩართულობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თსუ-ს ფაკულტეტებისა და მათთან დაკავშირებული კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიში

[რეკომენდაციები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო პროცესი ხორციელდება თსუ-ის III კორპუსში, მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი N11ა. საერთო ფართობია 3,091.48 კვ.მ; სასწავლო ფართობია 1,213.23 კვ.მ; აუდიტორიების საერთო რაოდენობაა 24 ერთეული. კომპიუტერული რესურსების ცენტრი (ოთახი 206) აღჭურვილია სტუდენტებისთვის განკუთვნილი 20 კომპიუტერით; ლაბორატორია 1 – 20 კომპიუტერით; ლაბორატორია 2 – 20 კომპიუტერით; და 2 სასწავლო ოთახით. აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა 814-ია.

- აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორებითა და პროექტორის ეკრანებით; განახლებულია ინფრასტრუქტურა.
- შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამუშაო აუდიტორიაში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერები, პრინტერები და სხვა ტექნიკური საშუალებები. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მათთვის გამოყოფილი სივრცით, სადაც ხელმისაწვდომია უახლესი ლიტერატურა, სამეცნიერო კვლევები და სტაციონარული ინვენტარი.

გარდა ამისა, სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის 800 კვ.მ ფართობის კეთილმოწყობილ კლინიკურ გარემოზე, სადაც ისინი გაივლიან პრაქტიკას ზედამხედველის მეთვალყურეობით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ორი ძირითადი ბიბლიოთეკა (მთავარი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ადრე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა იყო). გარდა ამისა, ფაკულტეტს აქვს სპეციალიზებული, კათედრის ბიბლიოთეკა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები ძირითადად ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო მათი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების ელექტრონულ ბაზებში.
ბიბლიოთეკაში დაცულია როგორც ქართულენოვანი, ისე უცხოენოვანი ლიტერატურის ფონდები. ფონდი მოიცავს სილაბუსებში განსაზღვრულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებსა და სხვა სასწავლო მასალებს (მათ შორის, ელექტრონულ

ფორმატში ხელმისაწვდომ რესურსებს), რომლებიც სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით ყოველწლიურად ივსება და ახლდება. თსუ- ს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, აგრეთვე სტუდენტებს, ხელი მიუწვდებათ ძირითად საერთაშორისო სამეცნიერო-საინფორმაციო ბაზებზე. კერძოდ, უნივერსიტეტში სრულად ხელმისაწვდომია შემდეგი მონაცემთა ბაზები: EBSCOHost, Cambridge Journals Online, Oxford Journals Collection, Encyclopaedia Britannica, BioOne, Royal Society Journals Collection, IMF eLibrary, Massachusetts Medical Society, Pediatric Neurology Briefs Publishers, SAGE Publications, JSTOR, EconLit, EconBiz, IOP Publishing, Elsevier ScienceDirect, Web of Science და სხვა. უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ წვდომა შესაძლებელია უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის ანგარიშის მქონე მომხმარებლებისთვის. დაინტერესებულ პირებს ელექტრონული წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტების მიღება თსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტიდან შეუძლიათ.
სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში მითითებული წიგნებისა და საკითხავი მასალების ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია როგორც ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში, ასევე Moodle-ის ელექტრონულ კურსების სისტემაში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარემო/განთავსება

- ✓ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა აღჭურვილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი ჩამწერი სტუდიით აუდიოწიგნების მოსამზადებლად. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შოთა რუსთველის სახელობის სამკითხველო დარბაზსა და თსუ-ს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში არის სპეციალური საჭიროების მქონე (მხედველობადაქვეითებული პირებისთვის) მკითხველებისთვის განკუთვნილი სამუშაო სივრცე, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერებითა და პროგრამული უზრუნველყოფით.
- ✓ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს აკადემიურ კორპუსში პერსონალისთვის განკუთვნილი სამზარეულო აქვს.
- ✓ ფაკულტეტის შესასვლელს აქვს პანდუსი, ხოლო უსინათლო და მხედველობადაქვეითებული სტუდენტებისთვის ფაკულტეტი უზრუნველყოფს სპეციალურ საკითხავ მოწყობილობებს.
- ✓ ფაკულტეტის შენობის ფოიეში არის ყავისა და წყლის დისპენსერები.

სასწავლო პროცესი ხორციელდება თსუ-ის III კორპუსში (ჭავჭავაძის გამზირი N11 ა), რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურით. შენობა მოიცავს 24 აუდიტორიას, რომელთა საერთო ტევადობა 814 ადგილს შეადგენს, და აღჭურვილია სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებით, მათ შორის პროექტორებითა და განახლებული სასწავლო აღჭურვილობით. კომპიუტერული და ლაბორატორიული რესურსები საკმარისია; მრავალრიცხოვანი ლაბორატორიები და კომპიუტერული რესურსცენტრი ეფექტიანად უზრუნველყოფს სტუდენტთა სასწავლო მხარდაჭერას.

სტუდენტებს ასევე აქვთ წვდომა თამარ გაგოშიძის სახელობის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრში (800 კვ.მ) კარგად აღჭურვილ კლინიკურ გარემოზე, სადაც ტარდება პრაქტიკული სწავლება და ზედამხედველობა (ხელმძღვანელობა), რაც უზრუნველყოფს თეორიისა და პრაქტიკის ძლიერ ინტეგრაციას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მრავალფეროვან და სათანადოდ განვითარებულ საბიბლიოთეკო რესურსებზე ხელმისაწვდომობას, მათ შორის უნივერსიტეტის ძირითად ბიბლიოთეკაზე, ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და ფაკულტეტის სპეციალიზებულ ბიბლიოთეკაზე. აღნიშნული საშუალებას იძლევა საჭირო სასწავლო მასალებზე წვდომა როგორც ფიზიკურ, ასევე ელექტრონულ ფორმატში მიიღოთ. სტუდენტებსა და პერსონალს სრული წვდომა აქვთ ძირითად საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე (მაგ., Web of Science, Scopus, EBSCO, JSTOR, ScienceDirect), რაც ხელს უწყობს სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხით განხორციელებას. სასწავლო მასალები ასევე ხელმისაწვდომია Moodle პლატფორმის საშუალებით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინკლუზიურ სასწავლო გარემოს. ინფრასტრუქტურა მოიცავს პანდუსებს, ადაპტირებულ სამუშაო სივრცეებს და დამხმარე ტექნოლოგიებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის, როგორიცაა სპეციალიზებული საკითხავი მოწყობილობები და აუდიო რესურსები. საბიბლიოთეკო სერვისები მოიცავს აუდიოჩანაწერისთვის განკუთვნილ ინფრასტრუქტურასა და მხედველობადაქვეითებული მომხმარებლებისთვის სპეციალურად მოწყობილ სივრცეებს.

დამატებითი დამხმარე ინფრასტრუქტურა მოიცავს სასწავლო სივრცეებს, ტექნიკურ აღჭურვილობას და კეთილმოწყობილ სივრცეს ფაკულტეტის შენობაში, რაც ხელს უწყობს დამხმარე და ფუნქციონალური სასწავლო გარემოს შექმნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- არსებული ინფრასტრუქტურა;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი;
- თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი:
- კულტურული პერსონოლოგიის, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის, მიგრაციის კვლევებისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდი:

[რეკომენდაცები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტი დაგეგმილია საქართველოს კანონმდებლობის, მოქმედი რეგულაციებისა და უნივერსიტეტის შიდა წესების შესაბამისად. უნივერსიტეტი ბიუჯეტს სხვადასხვა ფაკულტეტთან და დეპარტამენტთან ერთად ამზადებს. ყველა შესაბამისი მხარე წარადგენს საკუთარ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს, რის საფუძველზეც ფორმირდება საბოლოო ბიუჯეტი. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამისათვის აუცილებელი მხარდაჭერის მექანიზმების სათანადო უზრუნველყოფას.

სამაგისტრო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება როგორც უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან, ისე ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. ეს ნიშნავს, რომ პროგრამას აქვს სტაბილური და უწყვეტი დაფინანსება.

ბიუჯეტი აერთიანებს როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების ნაწილს და სტრუქტურირებულია ეროვნული საფინანსო რეგულაციების შესაბამისად. ეს მიუთითებს, რომ ფინანსური დაგეგმვის პროცესი სტრუქტურირებული და სანდოა.

გამოყოფილი სახსრები პროგრამის ძირითად საჭიროებებს ხმარდება. კერძოდ, ფინანსური რესურსები გამოიყენება აღჭურვილობისა და სასწავლო მასალების განახლებისთვის, ბიბლიოთეკის ახალი გამოცემებით შევსებისთვის, სტუდენტური კონფერენციების ორგანიზებისთვის, აგრეთვე აკადემიური მასალების, მათ შორის სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ნაშრომების, გამოსაცემად.

საერთო ჯამში, პროგრამას სათანადოდ ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა გააჩნია. ბიუჯეტი რეალისტურად არის დაგეგმილი და უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურ და მდგრად ფუნქციონირებას.

თუმცა, განხილული დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრების საფუძველზე იკვეთება, რომ პროგრამის ფარგლებში კვლევითი საქმიანობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების მიზნით სპეციალურად გამოყოფილი დაფინანსება შეზღუდულია. აღნიშნულმა შესაძლოა შეზღუდოს პროგრამის შესაძლებლობა განავითაროს კვლევითი ინტენსივობის მქონე კომპონენტები და უზრუნველყოს მოწინავე ემპირიული კვლევების ეფექტიანი მხარდაჭერა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი

[რეკომენდაციები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- სასურველია, უნივერსიტეტმა გამოყოს დამატებითი ფინანსები პროგრამის კვლევითი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა](#)	შესაბამისობაშიაa

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის დონეზე. თანამშრომლობა მოიცავს პროგრამის დაგეგმვას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და მიღებული შედეგების გადახედვას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სტრუქტურულ გამართულობასა და ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარგად ჩამოყალიბებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეფუძნება „დაგეგმე–განახორციელე–შეამოწმე–იმოქმედე“ (PDCA) პრინციპს და მხარს უჭერს პროგრამის უწყვეტ დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგსა და გაუმჯობესებას.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სისტემურად იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებიდან მიღებულ შედეგებს, მათ შორის გამოკითხვებისა და შეფასებების მონაცემებს. სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირი სისტემურად გროვდება და ანალიზდება; მიღებული შედეგები კი გამოიყენება პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების საფუძვლად, მათ შორის ახალი სასწავლო კურსების დანერგვის, სასწავლო კურსების შინაარსის განახლებისა და პრაქტიკული კომპონენტების გაფართოების მიმართულებით.

თვითშეფასების ანგარიში მზადდება თანამშრომლობითი პროცესის ფარგლებში, რომელშიც ჩართული არიან აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აგრეთვე, საჭიროების შესაბამისად, დამსაქმებლები და გარე ექსპერტები. აღნიშნული პროცესი მოიცავს კონსულტაციებისა და განხილვების მრავალეტაპიან ციკლს, რაც ანგარიშის წარდგენამდე მისი ხარისხისა და სრულყოფილობის უზრუნველყოფას ემსახურება.

ანგარიშის მომზადების შემდგომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აგრძელებენ თანამშრომლობას გასაუმჯობესებელი სფეროების გამოსავლენად და შესაბამისი ცვლილებების სისტემური დანერგვის მიზნით. რეკომენდაციები მიეწოდება პროგრამის გუნდს და მათი გათვალისწინება ეტაპობრივად ხორციელდება.

უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს პროგრამის შეფასებას სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, მათ შორის გამოკითხვების, სტატისტიკური

მაჩვენებლების, სტუდენტთა აკადემიური მიღწევების მონაცემებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე. გარდა ამისა, პროგრამის განვითარების პროცესს დამატებით ამყარებს შიდა შეფასების მექანიზმები, რომლებიც ექსპერტულ შეფასებასაც მოიცავს.

აგრეთვე, ხორციელდება პროგრამის ბენჩმარკინგიშესაბამის საერთაშორისო ანალოგიურ პროგრამებთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას თანამედროვე აკადემიურ სტანდარტებთან და ხელს უწყობს როგორც შინაარსობრივი, ისე სტრუქტურული განვითარების უწყვეტ პროცესს.

ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება როგორც უწყვეტი და სტრუქტურირებული პროცესი, რომელიც ეფუძნება თანამშრომლობას, გამჭვირვალობასა და უწყვეტ გაუმჯობესებას.

შედეგად, პროგრამა ავლენს კარგად განვითარებულ და ეფექტიან ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას, რომელიც ხელს უწყობს მის მდგრად განვითარებასა და გამოვლენილ საჭიროებებზე დროულ და სათანადო რეაგირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 29 მარტის №45/2024 დადგენილება „თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის ვებგვერდი;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100/2019 დადგენილება „თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურის დამტკიცების შესახებ“;
- ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის ანგარიშები
- გამოკითხვის ინსტრუმენტები და კვლევის შედეგები (დანართი 14);
- ბაზრის კვლევა (დანართი 8);
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №32/2018 „თსუ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროგრამების დაგეგმვის, განვითარებისა და გაუმჯობესების მხარდაჭერის კომიტეტის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;
- თსუ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროგრამის დაგეგმვის, განვითარებისა და გაუმჯობესების მხარდაჭერის კომიტეტის საქმიანობის დამადასტურებელი ოფიციალური სამუშაო ჩანაწერები (დანართი 3);
- საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიალური შეფასება;
- შიდა რეცენზენტის ოფიციალური სამუშაო ჩანაწერი;
- შედარებითი კვლევა / ბენჩმარკინგი
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის]

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს. გარე შეფასებას საქართველოში რეგულარულად ატარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ეს პროცესი უნივერსიტეტს ეხმარება შეამოწმოს სწავლების, კვლევისა და საერთო სამუშაოს ხარისხი.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტებსა და რეკომენდაციებს. ის ითვალისწინებს სხვადასხვა გარე დაინტერესებული მხარის: კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, ექსპერტების და სხვა ორგანიზაციების უკუკავშირს. ეს ხელს უწყობს იმის გაგებას, თუ რა უნარები და ცოდნაა საჭირო რეალურ პრაქტიკაში.

ამ უკუკავშირის შესაგროვებლად, პროგრამამ გამოიყენა გამოკითხვები, ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამის გასაუმჯობესებლად რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა.

მაგალითად, დაემატა ახალი კურსები, მათ შორის „პროფესიული ეთიკა“ და „ადრეული ჩარევა“. ზოგიერთი კურსი გაუმჯობესდა, მაგალითად, „ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსის“ ცალკეულ ნაწილებად დაყოფა მოზრდილებისა და ბავშვებისთვის და კონსულტირების ელემენტების დამატება. გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტები და გაიზარდა პრაქტიკისთვის გათვალისწინებული საათების რაოდენობა.

სტუდენტთა პრაქტიკის უკეთ ორგანიზების მიზნით ასევე განხორციელდა რიგი ცვლილებები, მათ შორის პრაქტიკის ობიექტებზე განაწილების პროცესის მეტად

მოქნილად წარმართვა და მოსამზადებელი ეტაპის გაუმჯობესება. გარდა ამისა, მეტი ყურადღება დაეთმო კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და თვითრეფლექსიის უნარების განვითარებას.

ამ განახლებების განხორციელებისას პროგრამა ასევე ითვალისწინებდა ნეიროფსიქოლოგიის საერთაშორისო რეკომენდაციებსა და მითითებებს. აღნიშნული ცხადყოფს, რომ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე მიღებული უკუკავშირი პროგრამის განვითარების პროცესში სათანადოდ აისახება.

უნივერსიტეტი განიხილავს და ითვალისწინებს შეფასების პროცესების დროს მიღებულ ყველა რეკომენდაციას და იყენებს მათ პროგრამის ეტაპობრივად გასაუმჯობესებლად.

საჭიროების შემთხვევაში პროცესში ასევე ჩართული არიან გარე ექსპერტები, აგრეთვე გამოიყენება კოლეგიალური შეფასების მექანიზმები. აღნიშნული მოიცავს ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიონალებთან თანამშრომლობას, რაც ხელს უწყობს პროგრამისა და მისი კვლევითი გარემოს შემდგომ გაუმჯობესებას.

პროგრამა აქტიურად იყენებს გარე შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს. ეს ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ განვითარებას და უზრუნველყოფს მის აქტუალურობასა და რელევანტურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის დებულება
- დამსაქმებლების გამოკითხვების შედეგები
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვების შედეგები
- დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფების შედეგები
- კურსდამთავრებულთა ფოკუს ჯგუფების შედეგები

[რეკომენდაცები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[5.2. გარე ხარისხის შეფასება](#)	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა დეტალურად მოწმდება და რეგულარულად გადაიხედება. ამ პროცესში ჩართულია დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი, მათ შორის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, მოწვეული ექსპერტები, ადმინისტრაციული პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა შესაბამისი მხარეები. მათი უკუკავშირი გროვდება გამოკითხვების, კითხვარებისა და განხილვების მეშვეობით, რაც პროგრამის ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირების შესაძლებლობას ქმნის.

პროგრამის განახლება ხორციელდება მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მის აქტუალურობასა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობას. მაგალითად, ხდება კურსების გადახედვა, ახალი თემების დანერგვა და პრაქტიკული ტრენინგის კომპონენტების გაძლიერება. სტუდენტები სემესტრის ბოლოს აფასებენ თითოეულ კურსს, იძლევიან უკუკავშირს სწავლების ხარისხსა და კურსის შინაარსზე, ხოლო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები ასევე იძლევიან უკუკავშირს კვლევით კომპონენტებსა და ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით.

ზოგიერთ შემთხვევაში, საკლასო სწავლება წინასწარ განსაზღვრული შაბლონების გამოყენებით ხორციელდება. დამკვირვებლები შეიძლება იყვნენ იმავე პროგრამის წარმომადგენელი კოლეგები, უნივერსიტეტის სხვა პროგრამების წარმომადგენლები ან გარე ექსპერტები.

ეს პროცესი ხელს უწყობს სასწავლო პრაქტიკის უწყვეტ განვითარებას.

პერიოდულად ხდება პროგრამის დადარება („ბენჩმარკინგი“) უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან. ეს შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას, სასწავლო გეგმაში ასახოს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა, მათ შორის ბავშვთა ნეიროფსიქოლოგიის, კონსულტირების პრინციპების, ეთიკისა და გაფართოებული პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრირება.

პროგრამის ეფექტიანობის შესაფასებლად სისტემატურად ანალიზდება ისეთი მონაცემები, როგორიცაა სტუდენტების ჩარიცხვა, პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა, აკადემიური მოსწრება, გამოკითხვის შედეგები და კურსდამთავრებულთა

დასაქმების შედეგები. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება შესაბამისი ცვლილებებისა და გაუმჯობესებების დანერგვა.

საერთო ჯამში, პროგრამა იყენებს უწყვეტი მონიტორინგისა და განხილვის პროცესს, რომელშიც მონაწილეობენ ძირითადი დაინტერესებული მხარეები, მიჰყვება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა შეიძინონ პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები
- კვლევის ინსტრუმენტები
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- უცხოურ უნივერსიტეტებში ანალოგიური პროგრამების ანალიზი
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#).

არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

_ზამირა ჰისენი დურაკუ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ლია სანიკიძე

ნინო პატარაია

გიორგი მხეიძე